29 ნოემბერს ჩატარდება მათემატიკის ოლიმპიადის I უფასო ტური
აუცილებლად გელოდებით!

მათემატიკის ოლიმპიადა

მე-8 კლასი (I ტური, შემოდგომა, 2025)

ძირითადი დავალებები (თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია):

1) თუ პროდუქციის ფასი შემცირდა 50%-ით, შემდეგ კი ისევ 50%-ით, რამდენი პროცენტით შემცირდა საბოლოო ფასი თავდაპირველთან შედარებით?

A) 100% B) 75% C) ამის გაგება შეუძლებელია

2) რას უდრის ტოლგვერდა სამკუთხედის 1 კუთხე?

A) 180° B) 60° C) ამის გაგება შეუძლებელია

3) რამდენი მთელი ამონახსნი აქვს განტოლებას |x|< 2?

A) 3 B) 1 C) ამის გაგება შეუძლებელია

4) რამდენი ისეთი სამნიშნა რიცხვი არსებობს, რომელიც 9-ით ბოლოვდება?

A) 100 B) 90 C) 900

5) რამდენი წრფის გავლება შეიძლება 2 წერტილზე?

A) 0 B) 1 C) ამის გაგება შეუძლებელია

ალტას სახელობის სავარჯიშო

6) რამდენჯერ მეტია სამკუთხედის გარე კუთხეების ჯამი მის შიდა კუთხეების ჯამზე?

A) 2-ჯერ B) ტოლებია C) ამის გაგება შეუძლებელია

7) თუ 2 წრფის გადაკვეთისას მიღებული კუთხეებიდან ერთ-ერთი კუთხე მართია, შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ 4-ვე კუთხე მართია?

A) კი B) არა C) ამის გაგება შეუძლებელია

8) აფთიაქს მარაგში აქვს 20 სხვადასხვა დასახელების სიცხის დამწევი წამალი . თუ ამ კვირაში სიცხის დამწევი წამლების ჯამური რაოდენობის 1/5 ნაწილი გაიყიდა, რამდენი ცალი (ტაბლეტი) სიცხის დამწევი წამალი გაყიდულა?

A) 16 ცალი B) 4 ცალი C) 5 ცალი

9) რომელია მეტი, 1/3 თუ 0,33?

A) 1/3 B) 0,33 C) ტოლებია

10) თუკი 1/6-ს ჩავწერთ ათწილადის სახით, რამდენ ციფრს მივიღებთ მძიმის შემდეგ?

A) 1 ცალი B) 2 ცალი C) უამრავს

100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 3 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

<u>ბონუს ბლოკი Tether -ისგან</u>

USD₮ ციფრული ფულია. 1USD₮ ყოველთვის 1$-ია.

1. წარმოიდგინე, რომ დღეს 1 USD₮ = 2.7 ლარს. შენ გაქვს 10 USD₮. მაშ, რამდენი ლარის ტოლია შენი ქონება?

A) 2.7 ლარი B) 27 ლარი C) 270 ლარი

2. სამმა მეგობარმა გადაწყვიტა ბიზნესის დაწყება. პირველმა ამ ბიზნესის დასაწყებად გაიღო 20 USD₮, მეორემ - 30 USD₮, მესამემ - 40 USD₮. რა არის მეგობრების საშუალო შენატანი?

A) 25 USD₮ B) 30 USD₮ C) 90 USD₮

3. შენი ყოველთვიური ჯიბის ფული 50 USD₮-ია. გინდა იყიდო სკუტერი, რომელიც 200 USD₮ ღირს. იწყებ დაგროვებას 0-დან, მინიმუმ რამდენი თვე უნდა აგროვო თანხა, თუ არაფერს დახარჯავ?

A) 2 თვე B) 3 თვე C) 4 თვე

4.

5. „ლოკო მოკოს“ ბოთლი 2.50 ლარი ღირს. 5-მა თანაკლასელმა შესვენებაზე გასანაწილებლად 8 ბოთლი იყიდა. რა თანხა დახარჯეს მათ ჯამურად და რამდენი ლარის გადახდა უწევს თითოეულ მოსწავლეს, თუ ისინი ხარჯს თანაბრად ინაწილებენ?

A. 20 ლარი; 4 ლარი თითო მოსწავლეს

B. 20 ლარი; 5 ლარი თითო მოსწავლეს

C. 16 ლარი; 3.2 ლარი თითო მოსწავლეს